



International General Certificate in Occupational Health and Safety

სიღაბუსი



NEBOSH საერთაშორისო სერტიფიკატი

International General Certificate in Occupational Health and Safety

NEBOSH საერთაშორისო სერტიფიკატი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ყველაზე მაღალი რანგის სერტიფიკატად ითვლება მთელს მსოფლიოში. NEBOSH-ის კვალიფიკაციას დიდ პატივს სცემენ და უპირატესობას ანიჭებენ მსოფლიოს მონინავე ქვეყნების მთავრობები თუ დამსაქმებლები. NEBOSH-ის კურსი ემსახურება შრომის უსაფრთხოების პროფესიონალების კომპეტენციის ამაღლებას და უმაღლესი დონის განათლების მიღებას. კურსი მოიცავს შრომის უსაფრთხოების ყველა ძირითად მეთოდოლოგიასა და სპეციფიკას.

ის აერთიანებს **2 მოდულს** - 1 სასწავლი ნაწილი და 1 პრაქტიკული პროექტი.

სწავლის შედეგები

კურსის ბოლოს თქვენ შეძლებთ:

- გააუმჯობესოთ შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა მორალური, ფინანსური და სამართლებრივი არგუმენტების გამოყენებით;
- იცნობდეთ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ძირითად მოვალეობებს და შეძლოთ კონტრაქტორების დახმარება საორგანიზაციო საკითხებში;
- საქმიანობა განახორციელოთ შრომის უსაფრთხოების ეფექტური პოლიტიკის, საორგანიზაციო პასუხისმგებლობების და საჭირო ღონისძიებების გატარების გათვალისწინებით;
- დადებითი გავლენა მოახდინოთ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კულტურასა და ქცევაზე მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- განახორციელოთ რისკების შეფასება საკუთარ სამუშაო ადგილზე - რისკების პროფილირება და პრიორიტეტიზაცია, სამუშაო სივრცის შემოწმება, საფრთხეების ამოცნობა, რისკების შეფასება (მიმდინარე კონტროლის გათვალისწინებით), შემდგომი კონტროლის ზომების შემუშავება, გამოსასწორებელი დავალებების დაგეგმვა;
- გააცნობიეროთ იმ ცვლილებების საჭიროება სამუშაო ადგილზე, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე;
- შეიმუშაოთ სამუშაოსთვის საჭირო პროცედურები (მათ შორის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები); ასევე შეისწავლოთ სამუშაოს ნებართვის სისტემა და მისი სწორად გამოყენება;
- განახორციელოთ ინციდენტის ანგარიშგება და მოკვლევა საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის მიხედვით;
- დაეხმაროთ დამსაქმებელს, შეამოწმოს მათი მართვის სისტემის ეფექტურობა – მონიტორინგის, აუდიტის და ინსპექტირების საშუალებით.

კურსის სრული სილაბუსი

თავი G1: შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტი

ელემენტი 1: რატომ უნდა ვმართოთ შრომის უსაფრთხოება სამუშაო სივრცეში

- 1.1. განიხილეთ სამუშაო სივრცეში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის მორალური, ფინანსური და სამართლებრივი მიზეზები;
- 1.2. ახსენით, როგორ რეგულირდება შრომის უსაფრთხოება და რა შედეგები მოჰყვება შეუსრულებლობას;
- 1.3. შეაჯამეთ დასაქმებულთა სხვადასხვა ჯგუფების შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოვალეობები სამუშაო ადგილზე და განმარტეთ, როგორ უნდა მოხდეს კონტრაქტორების შერჩევა, მონიტორინგი და მართვა.

ელემენტი 2: როგორ მუშაობს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემები

- 2.1 შეაფასეთ შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის ელემენტების უპირატესობები;
- 2.2 განიხილეთ შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც მას ეფექტურს ხდის - პოლიტიკა, პასუხისმგებლობები, ღონისძიებები.

ელემენტი 3: რისკების მართვა - დასაქმებულთა და პროცესების მართვა

- 3.1 აღწერეთ შრომის უსაფრთხოების კულტურის კონცეფცია და მისი ზემოქმედება დასაქმებულებზე;
- 3.2 შეაჯამეთ, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სამსახურში შრომის უსაფრთხოების კულტურა;
- 3.3 შეაჯამეთ ადამიანური ფაქტორები, რომლებიც დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენენ სამუშაო პროცესზე, ასევე ქცევები, რომელიც გავლენას მოახდენს შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე;
- 3.4 განმარტეთ რისკების შეფასების პროცესის პრინციპები;
- 3.5 განიხილეთ სამუშაო სივრცის ტიპური ცვლილებები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა შრომის უსაფრთხოებაზე, ასევე ამ ზემოქმედების მინიმიზაციის გზები;
- 3.6 აღწერეთ რა უნდა გაითვალისწინოთ უსაფრთხო სისტემის შემუშავებისა და დანერგვისას;
- 3.7 ახსენით სამუშაო ნებართვის სისტემის როლი, ფუნქცია და მოქმედება;
- 3.8 განიხილეთ საგანგებო სიტუაციების პროცედურები (მათ შორის წვრთნები და ტესტები) და განსაზღვრეთ პირველადი სამედიცინო დახმარების რომელი დონე არის საჭირო სამუშაო სივრცეში.

ელემენტი 4: შრომის უსაფრთხოების მონიტორინგი და სტატისტიკური ანალიზი

- 4.1 განიხილეთ საერთო მეთოდი და სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება მართვის სისტემის ეფექტური მონიტორინგის დროს;
- 4.2 ახსენით რატომ და როგორ უნდა მოხდეს ინციდენტების ანგარიშგება, მოკვლევა და გაზიარება;
- 4.3 ახსენით რა არის აუდიტი და რატომ და როგორ უნდა შეაფასოს მართვის სისტემა;
- 4.4 ახსენით, რატომ არის საჭირო შრომის უსაფრთხოების ეფექტურობის რეგულარული შემოწმება.

თავი G2: რისკების შეფასება

ამ თავში მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ სამუშაო სივრცის რისკების შეფასება, რომელიც ითვალისწინებს იდენტიფიცირებული საფრთხეების ფართო სპექტრს (ქვემოთ მოცემული 5-11 ელემენტების მიხედვით) და აკმაყოფილებს საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტებს.

ელემენტი 5: ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა

ელემენტი 6: საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ჯანმრთელობა

ელემენტი 7: ქიმიური და ბიოლოგიური აგენტები

ელემენტი 8: სამუშაო ადგილის ზოგადი საკითხები

ელემენტი 9: სამუშაო ადგილის ადგილობრივი

ელემენტი 10: ხანძარი

ელემენტი 11: ელექტროენერჯია

გამოცდა

NEBOSH სერტიფიკატის მისაღებად საჭიროა ორი სახის გამოცდის ჩაბარება:

- ონლაინ ტესტირება
- 3-საათიანი პრაქტიკული რისკების შეფასება, რომელშიც იკვთება 5-11 ელემენტებიდან მიღებული ცოდნა.

თითოეულ კომპონენტში თქვენ წარმატებით უნდა გადალახოთ ბარიერი, რათა მოიპოვოთ NEBOSH-ის საერთაშორისო სერტიფიკატი